საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

**სასწავლო კურსი:** ქართული ენა B2

**ავტორი:** სვეტლანა ბერიკაშვილი
ნესტან ეგეტაშვილი

| | |
|---|---|
| **სასწავლო კურსის სახელწოდება** | ქართული ენა B2 |
| **ავტორი** | სვეტლანა ბერიკაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი.<br>ბინის ტელ.: 2 72 21 05, მობ. 5 99 15 72 14.<br>ელ-ფოსტა: svetlishka@yahoo.com<br><br>ნესტან ეგეტაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი.<br>ბინის ტელ.: 2 36 61 30, მობ. 5 99 98 10 56.<br>ელ-ფოსტა: nestanege@yahoo.com |
| **სასწავლო კურსის მიზნები** | სასწავლო კურსის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ ენაში ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა ენის დამოუკიდებელი მომხმარებლის დონეზე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2), რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შედეგად ჩარიცხულმა სტუდენტმა შეძლოს სწავლის გაგრძელება მისთვის სასურველ საბაკალავრო ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე.<br>კურსის მიზანია ასევე ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში. |
| **კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად** | I სემესტრი – 12 კრედიტი<br>საკონტაქტო საათების რაოდენობა - 180 სთ.<br>ლექცია - 60 სთ.<br>პრაქტიკული მეცადინეობა - 118 სთ.<br>შუალედური შეფასება - 2 სთ.<br>კონსულტაცია და დასკვნითი გამოცდა - 4 სთ.<br>დამოუკიდებელი მუშაობა - 120 სთ.<br>საათების რაოდენობა სულ 300 სთ. |
| **დაშვების წინაპირობები** | |
| **სწავლის შედეგები** | **1. ცოდნა და გაცნობიერება:**<br><br>სწავლის შედეგად კურსდამთავრებული ფლობს ქართულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონეზე:<br><br>**გაგება / მოსმენა:** მას შეუძლია ნაცნობი თემატიკის მიხედვით ძირითადი საკითხების გაგება, ქართულად ჩატარებული ლექციის მოსმენა და გააზრება, შეუძლია ვიდეო და აუდიო მასალის, მხატვრული ფილმების გაგება (B2 დონით განსაზღვრული ლექსიკის |

| | |
|---|---|
| | ფარგლებში).<br><br>**კომუნიკაცია / ლაპარაკი:** შეუძლია ძირითადი საკომუნიკაციო სიტუაციების დაძლევა ქართული ენის გარემოში, თავისუფლად შეუძლია ქართულენოვან პირთან კომუნიკაცია B2 დონით განსაზღვრული ლექსიკის ფარგლებში, აქვს უნარი გამოხატოს საკუთარი შეხედულება რომელიმე საკითხზე.<br><br>**კითხვა:** სტუდენტს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს თანამედროვე საკითხებზე დაწერილი ტექსტები, სტატიები ინფორმაციისა და არგუმენტების მოპოვების მიზნით.<br><br>**წერა:** სტუდენტს შეუძლია მარტივი გაბმული ტექსტების წერა, რომლებიც მისთვის ნაცნობ და საინტერესო საკითხებს ეხება, პირადი წერილების წერა, წერილობითი კომუნიკაცია ელექტრონული საშუალებებით.<br><br>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:<br><br>სტუდენტს აქვს B2 დონის შესაბამისად ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარი, შეუძლია ორიენტაცია ქართულენოვან გარემოში, კითხვების დასმა, მოსმენილის გაგება და ინტერპრეტაცია.<br><br>3. დასკვნის უნარი:<br><br>სტუდენტი იძენს დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ანალიზისა და სინთეზის უნარს, აქვს აუდიო-ვიზუალური მასალის აღქმა-გაგებისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.<br><br>4. კომუნიკაციის უნარი:<br><br>სტუდენტს აქვს ზეპირი და წერითი კომუნიკაიციის უნარი ქართულ ენაზე. შეუძლია ურთიერთობის დამყარება თანაკურსელებთან, ლექტორებთან, თანამოქალაქეებთან, რაც ხელს უწყობს მის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში. ასევე, მას შეუძლია ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენება.<br><br>5. სწავლის უნარი:<br><br>აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული დავალებების დამოუკიდებლად შესრულების, სასწავლო პროცესში დროის გადანაწილების, სამუშაო ჯგუფში გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი. ასევე შეეძლებათ |

| | |
|---|---|
| | სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და წერითი სამუშაოს შესრულება.<br><br>**ღირებულებები**<br><br>სტუდენტს შეუძლია ქართული ღირებულებების გაცნობა და პატივისცემა, აქვს სხვადასხვა კულტურის მიმართ ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის შეგრძნება. |
| შინაარსი | **I კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი I - თემა: ადამიანები და მათი ცხოვრება**<br><br>**ბლოკი 1 -   პირადი ცხოვრება**<br><br>**ლაპარაკი:** რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის?<br>**ტექსტი:** დღიური. ტექსტის ანალიზი, სავარჯიშოები.<br>დამატებითი **ლექსიკა** ტექსტიდან: ერთი ოჯახის ცხოვრება.<br>**გრამატიკა:** ნაწილაკთა სახეები, სხვისი ნათქვამის გადმოცემა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2016. *აღმართი* B2. შემსწავლელის წიგნი, გვ. 1-7 (შემდგომში კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2); შავთვალაძე, ნანა. 2008. *ბილიკი,* წიგნი მეორე, თბილისი: გამომცემლობა „ლეგა“, გვ. 17-18 (შემდგომში შავთვალაძე, ბილიკი); ზექალაშვილი, რუსუდან. 2016. *ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსი,* გვ. 40-41 (შემდგომში ზექალაშვილი, გრამატიკა).<br><br>**ბლოკი 2 -   რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში?**<br><br>**ლაპარაკი:** ჯგუფებში მუშაობა თემაზე: რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში?<br>**ტექსტი:** სტერეოტიპები, რომლებიც ბედნიერებას გვპარავს. ტექსტის ანალიზი, სავარჯიშოები.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 7-12.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br><br>**ფორმა:** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br>**დავალება:** ერთი ოჯახის ცხოვრების გადმოცემა ნაწილაკების გამოყენებით.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. |

| | |
|---|---|
| | 2016. *აღმართი* B2. სამუშაო რვეული, გვ. 3-6 (შემდგომში კილურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2).<br><br>**II კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი I - თემა: ადამიანები და მათი ცხოვრება**<br><br>**ბლოკი 3 – რა არის ბედნიერება?**<br><br>**ლექსიკა:** რა არის ბედნიერება?<br>**დავალება:** ინტერნეტში ლექსიკონებში ბედნიერების განმარტების მოძიება.<br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 1.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“<br>**გრამატიკა:** სახელზმნა, მიმღეობა<br><br>**ლიტერატურა:** კილურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 12-14; ზექალაშვილი, გრამატიკა, გვ. 37-38; ვიდეო ჩანაწერი: https://www.youtube.com/playlist?list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o<br><br>**ბლოკი 4 – თაობები და ღირებულებები**<br><br>**ტექსტის** წაკითხვა, განხილვა, ტექსტისთვის სათაურის შერჩევა. სავარჯიშოების გაკეთება.<br>**ლაპარაკი:** რით არის გამოწვეული სხვადასხვა შეხედულებები. დისკუსია აღნიშნული საკითხის შესახებ.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br><br>**ფორმა:** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კილურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 6-9.<br><br>**III კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი II - თემა: ოჯახი**<br><br>**ბლოკი 1 – მშობლები და შვილები**<br><br>**ვიდეო მასალის მოსმენა:** ნაწყვეტი ჩანაწერიდან 2.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“, სავარჯიშოები.<br>**მსჯელობა** თემაზე *მშობლები და შვილები* |

| | |
|---|---|
| | **ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 18-20; ვიდეო ჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=IvRpvFiyXRg&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=4&t=0s<br><br>**ბლოკი II - ოჯახის განმარტება**<br><br>**ტექსტების** კითხვა, სავარჯიშოები.<br>**გრამატიკა:** მიმართებითი ნაცვალსახელები; მიმართებითი ნაცვალსახელის *რომელიც* ბრუნება. წინადადებების აგება მიმართებითი ნაცვალსახელების გამოყენებით.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 20-22; ზექალაშვილი, გრამატიკა, გვ. 23; Danelia, Nana. 2010. *Basic Georgian.* Tbilisi: Publishing House "Universal", გვ. 295 (შემდგომში დანელია, საბაზისო ქართული)<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br><br>**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br>**დავალება**: დაწერეთ თქვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური მშობელი.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 10-13.<br><br>**IV კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი II - თემა: ოჯახი**<br><br>**ბლოკი 3 – ოჯახის განვითარების ეტაპები**<br><br>**ტექსტი:** ოჯახის განვითარების ეტაპები; ტექსტის კითხვა, ანალიზი, სავარჯიშოების გაკეთება<br>**გრამატიკა:** კონსტრუქციები: *რაც უფრო* ... , *მით უფრო; როგორც* ...., *ისევე* ... . წინადადებების აგება აღნიშნული კონსტრუქციების გამოყენებით. კავშირების ჩასმა. *რომ* კავშირიანი წინადადებები პირდაპირი ნათქვამის ირიბ ნათქვამად გადაქცევა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 23-28; შავთვალაძე, ბილიკი, გვ. 123, 125.<br><br>**ბლოკი 4 – ადრეული ქორწინება** |

**ტექსტები:** ლაშა და სოფო; რა არის ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები? რა სოციალური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვება ადრეულ ქორწინებას?
**ლაპარაკი:** მსჯელობა ადრეული ქორწინების დადებით და უარყოფით მხარეებზე.
**ვიდეო-მასალა:** ჩანაწერი 2.2. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 28-32; ვიდეო ჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=kd7LEuIl_qA&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=8&t=0s

**პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.**
**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, ტესტის დაწერა.

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 16-18; შავთვალაძე, ბილიკი, გვ. 138-143.

**I წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.**

**V კვირა – ლექცია 4 სთ.**

**თავი III - თემა: პრესა**

**ბლოკი 1 – ქართული მედია**

**დავალება:** ინერნეტში ქართული მედია მასალის მოძიება, რუბრიკების გაცნობა
**ვიდეო-მასალა:** ჩანაწერი 3.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“
სავარჯიშოები მედიის ლექსიკაზე
**გრამატიკა:** ქცევის ნიშანი -უ- მესამე პირთან.

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 33-37; ვიდეო ჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=p86X1yQhQsY&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=9&t=0s

**ბლოკი 2 – ინფორმაცია**

**საინფორმაციო ტექსტები:** ტექსტების წაკითხვა, ანალიზი, ჯგუფებში მუშაობა, სავარჯიშოების შესრულება.
**გრამატიკა:** თურმეობითის ფორმები აქტიურ- და პასიურსუბიექტიან

| | |
|---|---|
| | ზმნებში.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 37-42; ზექალაშვილი, გრამატიკა, გვ. 32; გეგუჩაძე, ლეილა. 2004. *ქართული ენა უცხოელთათვის, მოკლე გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 185-192 (შემდგომში გეგუჩაძე, გრამატიკა).<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br><br>**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 19-24.<br><br><br>**VI კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი III - თემა: პრესა**<br><br>**ბლოკი 3 – ყვითელი პრესა**<br><br>**ვიდეო-მასალა:** ჩანაწერი 3.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა", ვიდეო-მასალაზე დისკუსია.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 43-44; ვიდეო მასალა: https://www.youtube.com/watch?v=b2QJB48aFpg&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=10&t=0s<br><br>**ბლოკი 4 – ჟურნალისტური ეთიკა**<br><br>**ლაპარაკი:** მსჯელობა ჟურნალისტური ეთიკის შესახებ, ჟურნალისტური ქარტია, მუშაობა ჯგუფებში ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის შემთხვევებზე.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 44-48.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br>**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, წერითი **დავალება:** მოიძიეთ ინფორმაცია ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის შესახებ და მისი მოკლე შინაარსი დაწერეთ.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 24-26. |

| | |
|---|---|
| | **VII კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი IV - თემა: თავისუფალი დრო: დასვენება და გართობა**<br><br>**ბლოკი 1 – როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს?**<br><br>**ლაპარაკი:** საუბარი თემაზე ვინ სად ატარებს თავისუფალ დროს და რატომ?<br>**ტექსტები:** სად ვატარებთ თავისუფალ დროს? როგორ გავანაწილოთ ჩვენი თავისუფალი დრო?<br>ტექსტებიდან გამომდინარე სავარჯიშოების გაკეთება.<br>**გრამატიკა:** სასურველი, მაგრამ არმომხდარი მოქმედების გადმოცემა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 50-54.<br><br>**ბლოკი 2 – დაკარგული თამაშები**<br><br>სურათების აღწერა და **მსჯელობა** დაკარგული თამაშების შესახებ;<br>**ტექსტი:** თამაში ჭვავის ყანაში – ზაფხული და თავისუფალი დრო, ტექსტის შესაბამისი სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 54-57.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.**<br><br>**ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, სიტუაციური თამაში.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 27-30.<br><br>**II წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.**<br><br>**VIII კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი IV - თემა: თავისუფალი დრო: დასვენება და გართობა**<br><br>**ბლოკი 3 – ტურისტული მომსახურება საქართველოში**<br><br>სურათების აღწერა, **მსჯელობა** ტურიზმზე საქართველოში.<br>დამატებითი **ლექსიკა** ტექსტიდან: ზღვაზე.<br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 4.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა", ვიდეო-მასალაზე დისკუსია.<br>**ტექსტები, გრაფიკები** დამსვენებელთა სტატისტიკური მონაცემების |

| | |
|---|---|
| | შესახებ. ტექსტებში მოცემული მასალის მიხედვით კვლევის შედეგების ანალიზის წარმოდგენა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 57-64; შავთვალაძე, ბილიკი, გვ. 128-130; ვიდეო მასალა: https://www.youtube.com/watch?v=DhqL8-ul1gc&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=11&t=0s<br><br>**ბლოკი 4 – ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტურიზმი**<br><br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 4.2. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“, ვიდეო-მასალაზე დისკუსია.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 64-65; ვიდეო მასალა: https://www.youtube.com/watch?v=b05-a3qXApA&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=12&t=0s<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.**<br>**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, შუალედურისათვის მოსამზადებელი ტესტის დაწერა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 33.<br><br>**შუალედური გამოცდა - 2 სთ.**<br><br><br>**IX კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი V - თემა: მუსიკა, სიმღერა, ცეკვა**<br><br>**ბლოკი 1 – მუსიკოსი**<br><br>**ტექსტი:** მუსიკოსი<br>**ლექსიკა:** მუსიკის ინსტრუმენტები<br>**სავარჯიშოები**<br>**გრამატიკა:** უარყოფითი მიმღეობის წარმოება<br><br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 67-70.<br><br>**ბლოკი 2 – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი**<br><br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 6.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“. |

დავალებების შესრულება მოსმენილ ვიდეო-მასალაზე.
**გრამატიკა:** ვნებითის წარმოება

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 70-73; დანელია, საბაზისო ქართული, გვ. 226-227; გეგუჩაძე, გრამატიკა, გვ. 135-141; ვიდეო მასალა:
https://www.youtube.com/watch?v=56nN6m-rxW4&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=15

**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**

**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, შუალედურში დაშვებული შეცდომების ანალიზი.
**დავალება:** ინფორმაციის მოძიება ქართული ბალეტის წარმომადგენლების შესახებ და მისი წარდგენა (ინდივიდუალურად ან ჯგუფში).

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 34 - 37.

**X კვირა – ლექცია 4 სთ.**

**თავი V - თემა: მუსიკა, სიმღერა, ცეკვა**

**ბლოკი 3 – თანამედროვე ქართული მუსიკოსები**

**ტექსტი:** ირაკლი ჩარკვიანი
**ლექსიკა** თემის ირგვლივ. სავარჯიშოები მუსიკასთან დაკავშირებული ლექსიკის გამოყენებით.

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 73-76.

**ბლოკი 4 – სუხიშვილები**

**ტექსტი:** სუხიშვილები
**ლექსიკა** თემის ირგვლივ. სავარჯიშოები ცეკვასთან დაკავშირებული ლექსიკის გამოყენებით.

**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 76-79.

**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**
**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.

| | |
|---|---|
| | **ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 37 - 40.<br><br>**XI კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი VI - თემა: საქართველო და მისი ეთნოსები**<br><br>**ბლოკი 1 - ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსები საქართველოში**<br><br>**ტექსტი:** ეთნიკური ჯგუფები საქართველოში. ტექსტის გარჩევა და ანალიზი, სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 82-83.<br><br>**ბლოკი 2 - გერმანელები საქართველოში**<br><br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 6.1. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“. ვიდეო მასალის გარჩევა, დავალებების გაკეთება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 83-84; ვიდეო-მასალა: https://www.youtube.com/watch?v=56nN6m-rxW4&list=PLQCcqctAkscXVlZHyOLE5T5t8XJK0L_0o&index=15<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.**<br>**ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 41 - 44.<br><br>**III წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.**<br><br>**XII კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი VI - თემა: საქართველო და მისი ეთნოსები**<br><br>**ბლოკი 3 - ქართველი ებრაელები**<br><br>**ტექსტი:** რა იცით ქართველი ებრაელების შესახებ?<br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 6.2. სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“.<br>ტექსტის და ვიდეო ჩანაწერის ანალიზი და შესაბამისი სავარჯიშოების შესრულება. |

| | |
|---|---|
| | **ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 84-86.<br><br>**ბლოკი 4 - მულტიკულტურალიზმი**<br><br>**ტექსტი** მულტიკულტურალიზმის შესახებ.<br>**გრამატიკა:** ვნებითი გვარის ზმნების გამეორება; სავარჯიშოები ვნებითი გვარის ჩასმაზე.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2, გვ. 86-89.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br>**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, ტესტი.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2, გვ. 45 - 47.<br><br>**XIII კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი I - თემა: თბილისური ცხოვრება ძველად და ახლა**<br><br>**ბლოკი 1 - ფიროსმანი**<br><br>**ტექსტები:** ხელოვნების მიმდინარეობების განმარტებები, ფიროსმანი<br>**ლაპარაკი:** კითხვებზე პასუხები ტექსტის მიხედვით<br>ჯგუფური დავალებების გაკეთება ხელოვნებასთან დაკავშირებული ლექსიკის ირგვლივ.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2016. *აღმართი* B2+. შემსწავლელის წიგნი, გვ. 1-7 (შემდგომში კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2+)<br><br>**ბლოკი 2 - აბანოთუბანი**<br><br>**ლაპარაკი:** თბილისის უბნები<br>**ტექსტი:** ალექსანდრე დიუმა თბილისის აბანოებში<br>სავარჯიშოები<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2+, გვ. 8-11.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** |

| | |
|---|---|
| | **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br><br>კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2017. *აღმართი* B2+. სამუშაო რვეული, გვ. 3-5 (შემდგომში კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2+).<br><br>**XIV კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი I - თემა: თბილისური ცხოვრება ძველად და ახლა**<br><br>**ბლოკი 3 - იტალიური ეზო**<br><br>იტალიური ეზოს აღწერა, ჯგუფებში მუშაობა, დავალებების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2+, გვ. 11-13.<br><br>**ბლოკი 4 - თბილისის არქიტექტურული მემკვიდრეობა**<br><br>თბილისის ფოტოების აღწერა.<br>**ვიდეო მასალა:** ჩანაწერი 1.6 სერიიდან „ქართული როგორც უცხო ენა“. ვიდეო მასალის გარჩევა, დავალებების გაკეთება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2+, გვ. 11-13.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.**<br>**ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br>დავალება: დაწერეთ მოკლე ესე უნდა არსებობდეს თუ არა ქალაქი მუზეუმები?<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2+, გვ. 6 - 9.<br><br>**IV წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.**<br><br><br>**XV კვირა – ლექცია 4 სთ.**<br><br>**თავი II - თემა: განათლების სისტემა**<br><br>**ბლოკი 1 - განათლების სისტემა საქართველოში**<br><br>**ლაპარაკი:** მსჯელობა განათლების სისტემის შესახებ.<br>**ტექსტები:** პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება. |

| | |
|---|---|
| | განათლების სისტემასთან დაკავშირებულ ლექსიკაზე მუშაობა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2+, გვ. 17-21.<br><br>**ბლოკი 2 - უფასო თუ ფასიანი განათლება**<br><br>**ლაპარაკი:** მსჯელობა უფასო და ფასიანი განათლების საჭიროების შესახებ.<br>**ტექსტი:** უმაღლესი განათლება უფასო თუ ფასიანი საჭიროება? დავალებებზე მუშაობა.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, სახელმძღვანელო B2+, გვ. 21-24.<br><br>**პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.**<br>**ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება.<br><br>**ლიტერატურა:** კიღურაძე და ქუთათელაძე, რვეული B2+, გვ. 10 - 14.<br><br>გავლილი მასალის გამეორება.<br><br>**XVI – XVIII კვირა - კონსულტაცია და დასკვნითი გამოცდა - 3 სთ.** |
| **სწავლების ფორმატი** | კურსი გრძელდება 1 სემესტრის მანძილზე (18 კვირა). აქედან 15 კვირა მოიცავს სწავლა-სწავლებისა და შუალედური შეფასების პროცესს; 3 კვირა – დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება და ჩაბარება. |
| **სწავლების/სწავლის მეთოდები** | სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა. |
| **სწავლება/სწავლის მეთოდების აქტივობები** | ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მეთოდი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, აუდიო-ლინგვისტური მეთოდი, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობის მეთოდი. |
| **შეფასების კრიტერიუმები** | 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება, რომელიც საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის.<br><br>**შეფასების სისტემა შემდეგნაირია:**<br><br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; |

| | |
|---|---|
| | (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას. იმისათვის, რომ სტუდენტი დაშვებულ იქნას დასკვნით გამოცდაზე, კომპონენტებში (60 ქულიდან) სავალდებულოა მინიმუმ 25 ქულის მიღება.<br><br>**შეფასების კომპონენტები:**<br><br>**აქტიურობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე - 20 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 8 ქულით);<br>**4 წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 20 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 2 (ჯამში 8) ქულით);<br>**შუალედური გამოცდა - 20 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 9 ქულით);<br>**დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 16 ქულით).<br><br>• **აქტიურობა - 20 ქულა**<br><br>სემინარული აქტივობას ეთმობა 80 საათი. თითოეული აქტივობა ფასდება 0.25 ქულით, ჯამურად სემინარული აქტივობა იკავებს 20 ქულას. სტუდენტი იღებს შეფასებას, როდესაც ჩართულია სასემინარო პროცესში, კითხვა პასუხის რეჟიმში წარმოაჩენს მასალის ცოდნას.<br><br>**წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა** (თითოეული ასეთი გამოკითხვის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 5 ქულას, ტარდება სემესტრში 4-ჯერ (ჯამში ეთმობა 8 საათი). გამოკითხვა კომბინირებული ხასიათისაა წერითი (25 %) და ზეპირი (15 %). ცოდნის შემოწმება ხდება კითხვარით, რომელიც მოიცავს 20 (დახურული კითხვების შემთხვევაში) და 10 (ღია კითხვების |

| | |
|---|---|
| | შემთხვევაში) კითხვას.<br>*დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*<br>- პასუხი სწორია - 0.25 ქულა<br>- პასუხი არასწორია - 0 ქულა<br><br>*ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*<br>- პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 1 ქულა<br>- პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 0,5 ქულა<br>- პასუხი არასწორია 0 ქულა<br><br>**შუალედური გამოცდა - 20 ქულა:**<br>ჩატარდება წერის სახით.<br>*დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*<br>- პასუხი სწორია - 1 ქულა<br>- პასუხი არასწორია - 0 ქულა<br><br>*ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*<br>- პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 2 ქულა<br>- პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 1,5 ქულა<br>- პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია - 1 ქულა<br>- პასუხი ფრაგმენტულია - 0,5 ქულა<br>- პასუხი არასწორია 0 ქულა<br><br>• **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა:**<br><br>გამოცდა იქნება კომბინიებული ხასიათის - წერითი (30 ქულა) და ზეპირი (10 ქულა). წერითი სახით სტუდენტები პასუხს გასცემენ 25 კითხვას გავლილი მასალიდან და დაწერენ ესეს. საგამოცდო ტესტის თითოეული კითხვა შეფასდება 1, ხოლო ესე - 5 ქულით.<br><br>***დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:***<br>- პასუხი სწორია - 1 ქულა<br>- პასუხი არასწორია - 0 ქულა<br><br>***ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:***<br>- პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 1 ქულა<br>- პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 0,5 ქულა<br>- პასუხი არასწორია 0 ქულა |

| | |
|---|---|
| | *ესეს შეფასების კრიტერიუმი:*<br>5 ქულა - შინაარსი კარგად არის გადმოცემული; სტილისტურად ნაწერი გამართულია; სტუდენტს არ აქვს დაშვებული შეცდომა;<br>4 ქულა - შინაარსი კარგადაა გადმოცემული; სტილისტურად ნაწერი გამართულია; სტუდენტს დაშვებული აქვს ერთი ან ორი უმნიშვნელო შეცდომა;<br>3 ქულა - შინაარსი დამაკმაყოფილებლადაა გადმოცემული; სტილისტურად ნაწერი ნაკლებ გამართულია; სტუდენტს დაშვებული აქვს ორი ან სამი უმნიშვნელო შეცდომა;<br>2 ქულა - შინაარსი დამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი; ნაწერი სტილისტურად გაუმართავია; სტუდენტს დაშვებული აქვს სამი ან ოთხი შეცდომა;<br>1 ქულა - შინაარსი ბუნდოვანია; სტილისტურად ნაწერი არ არის გამართული; სტუდენტს დაშვებული აქვს ოთხი ან ხუთი შეცდომა;<br><br>**ზეპირი შემოწმებისას** (რაც ფასდება 10 ქულით), სტუდენტი მოისმენს ტექსტს და უპასუხებს მის შესახებ დასმულ 10 კითხვას. ზეპირი შემოწმების კრიტერიუმებია:<br>**2 ქულა:** პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია.<br>**1.5 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. ტერმინოლოგია დაცულია, მაგრამ აღენიშნება მცირედი შეცდომები.<br>**1 ქულა:** პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია ნაკლოვანია.<br>**0.5 ქულა:** პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარი. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.<br>**0 ქულა:** პასუხი არსებითად მცდარია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. გადმოცემულია საკითხის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. აღენიშნება შეცდომები.<br><br>**დადებით შეფასებად ითვლება 16 ქულა და მეტი.**<br>**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება არის სავალდებულო.** |
| **ძირითადი ლიტერატურა** | 1. კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2016. *აღმართი* B2. შემსწავლელის წიგნი. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.<br>2. კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2016. *აღმართი* B2. სამუშაო რვეული. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.<br>3. კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2017. *აღმართი* B2+. შემსწავლელის წიგნი. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.<br>4. კიღურაძე, თინათინ და ეკატერინე ქუთათელაძე. 2017. |

| | |
|---|---|
| | *აღმართი* B2. სამუშაო რვეული. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.<br>5. ვიდეო მასალა ატვირთული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის: „ქართული როგორც უცხო ენა“ ოფიციალურ პორტალზე. იგივე მასალა ხელმისაწვდომია youtube-ზე. |
| დამხმარე ლიტერატურა | 1. შავთვალაძე, ნანა. 2008. *ბილიკი,* წიგნი მეორე. თბილისი: გამომცემლობა „ლეგა“ (თანდართული აუდიო დისკით).<br>2. გეგუჩაძე, ლეილა. 2004. *ქართული ენა უცხოელთათვის, მოკლე გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.<br>3. Danelia, Nana. 2010. *Basic Georgian.* Tbilisi: Publishing House "Universal".<br>4. ზექალაშვილი, რუსუდან. 2016. *ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსი.* თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.<br>5. დამატებით გამოყენებული იქნება ინტერნეტ-რესურსები, აუდიო და ვიდეო მასალა. |